აქეთ და იქით რთველია, დღეს უკვე სექტემბერია

პატივცემულო მკითხველო,

თქვენთვის ცნობილია, რომ ბოლო წლებია ვაჟღერებ რუსთაველის მეტროს ჩავუტაროთ რეკონსტრუქცია და ავაშენოთ **„ვეფხისტყაოსნის სასახლე“, სადაც იქნება განთავსებული „ვეფხისტყაოსნის“ სკოლა, უნივერსიტეტი, „ვეფხისტყაოსნის“ დარბაზი, ბოლო სართულზე „ვეფხისტყაოსნის“ კაფე-რესტორანი. იქვე, მის გვერდზე, პედაგოგიური ინსტიტუტის ყოფილ ტერიტორიაზე კი „ვეფხისტყაოსნის“ მუზეუმი ღია სივრცეში.**

გავალომგულოთ სამშობლო დიდი ქველმოქმედ ქართველით

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ იდეას „ლიტერატურული საქართველოში“ აღტაცებით გამოეხმაურნენ თვალსაჩინო მეცნიერები, აკადემიკოსები, საზოგადო მოღვაწეები, მაინც ჭიანურდება მისი გადაწყვეტა.

რადგან მას აქვს საქართველოს სამომავლო ინტერესებისთვის უდიდესი მნიშვნელობა, კიდევ ერთხელ განვმარტავ.

1966 წელს რუსთაველის დაბადების 800 წელი რომ აღინიშნა, მალევე აზრად მომივიდა მისთვის მიმეძღვნა 800 სტრიქონიანი პოემა. იმჟამად ჩანაფიქრი რომ ვერ შევძელი, 800 ძირი ვაზის რქით გავაშენე ვენახი. ამ ვენახის შრომაში შევქმენი ვაზზე მრავალი გამოგონება, დავნერგე 1, რითაც ქვეყნის ბიუჯეტი გავამდიდრე მილიონი მანეთით. სანაცვლოდ სახელმწიფომ 1986 წელს დამაჯილდოვა ოქროს მედლით და 20.000 მანეთით. ვაზს მივუძღვენი არაერთი ლექსი იმგვარად, რომ ვაზიც ავალაპარაკე.

შემწამლე, პაპავ, დროულად, ჭრაქმა არ მახლოს ხელიო,
გულით თუ გვინდა დაგვიდგეს ბარაქიანი რთველიო,
ახალი წელი გავხადოთ განვითარების წელიო,
რადგან მეკვლეა სიკეთე, აღორძინებას ველიო.

ქართულ, რუსულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე გამოვეცი მონოგრაფია „მევენახეობა ახლებურად“. ვენახში მივიღე მრავალი თვალსაჩინო სტუმარი, მათ შორის ქვეყნის პრეზიდენტი ბატონი ედუარდ შევარდნაძე 1999 წელს.

ვყოფილვარ საგარეჯოში, თბილისში, ჩიტაში (ჯარში), სოხუმში, მოსკოვში, კიევში, ვაშინგტონში, ლონდონში, ჩიკაგოში, სან-ფრანცისკოში, რომში, ონში, თელავში თუ თელ-ავივში ვწერდი ყმაწვილკაცობაში ჩაფიქრებულ რუსთაველისადმი მიძღვნილ შაირებს და ხნოვანებაში მისი დაბადების 850 წლის აღსანიშნავად გამოვაქვეყნე 850 სტრიქონიანი 16 მარცვლიანი ლირიკული პოემა, თუ როგორ გამომივიდა, მკითხველმა განსაჯოს „წუთისოფლის წიგნში“, რომელიც იყიდება „მერკურის“ ჯიხურებში.

სიმწრით ვაჟღერებ სატკივარს, ქვეყნის წყლულს ჩემსა წილადა,
სოფელს მივხედოთ, იცლება, გავითავისოთ შვილადა,
სიცოცხლის ფესვი სამშობლოს გავუფხვიეროთ ფრთხილადა,
მწარედ ნათქვამი სიმართლე სჯობს ტყუილს ნათქვამს ტკბილადა.

მედგრად მიტომ წაგიკითხეთ, გზები ერთად გამოვნახოთ,
დღესვე, სწრაფად, დიდკაცურად მას საშველი მოვუნახოთ,
ერთი-ორი თქვენც მითხარით, სად წავიდეთ, ვინა ვნახოთ,
რომ ეს ჭირი სატკივარი შვილს არასდროს შევუნახოთ.

ჭირი და სატკივარი რომ შვილს არასდროს არ უნდა შევუნახოთ, ყველა გონიერი ადამიანი დაგვეთანხმება, მაგრამ უბედურება ისაა, რომ დღეს ბევრი სოფელი იცლება, ბევრიც უკვე დაცლილია, დაკეტილია კომლები, დიდი გაჭირვებაა არაერთ სოფელში, ეს არავისთვის უცხო არ არის, ბევრს გასაქცევადაც უჭირავს თვალი. სწორედ ამ სასიცოცხლო პრობლემის გადასაწყვეტად მიმაჩნია „ვეფხისტყაოსნის“ სასახლის აგება მართებულად, იმ მიზნით, რომ მოვიზიდოთ მეტი ტურისტი, შეიქმნას მეტი სამუშაო ადგილი, ახალგაზრდობა აღიზარდოს უკეთესი სულისკვეთებით, მეტი სიკეთის კეთებით, მეგობრობით, და რუსთაველის გმირების კომპოზიცია სწორედ ამისკენ იქნება **მიმართული ღია გაკვეთილივით. ვაქციოთ სლოგანად „ღმერთმა ქნას შინა მოვიდეს ძე ჩემი გამარჯვებული“**.

მართალია, სახელმწიფო ახორციელებს სოფლად საკეთილდღეო ღონისძიებებს, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. პრობლემა იმდენად აქტუალურია, რომ მისი სწრაფად გადაწყვეტა ამგვარადაც მესახება.

ახლა კი წარმოგიდგენთ შაირებს, რომლებიც გამდიდრებულია რუსთაველის აფორიზმებით, **მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზნით, რომ მისი ბრძნული აზრებით ჩვენი დღევანდელი მწარე სიმართლე უფრო ნათლად წარმოვაჩინო** და ერთობლივად დავამარცხოთ სწრაფად პრობლემა

შემოვიარე სოფლები, ბევრი ვიხილე მხცოვანი,
ახალგაზრდობა ნაკლები, თითო-ოროლა წლოვანი,
მოვინახულე გელათიც, ნაგები ათასწლოვანი,
სჯობდა მეხილა ამგებიც სახელად სახელოვანი.

„დიდი ლხინია ჭირთა თქმა, თუ კაცსა მოუხდებოდეს“,
აჰა და მეცა განიშნებთ დღესვე რომ მინდა ხდებოდეს,
საგანძურს ჩვენსას ეროვნულს ძე მუდამ გულით ხვდებოდეს,
რო გასახარი უებრო უსწრაფესადა წყდებოდეს.

„არ დავიწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა“,
თუ დავამკვიდრებთ იდეებს გასაბრწყინებელს, მზიანსა,
დიდწოდებული ხალხისაც, პატარებისაც მთლიანსა,
მხოლოდ და მხოლოდ ამგვარად სოფლებს ვიხილავთ სვიანსა.

„ვეფხისტყაოსნის“ სიტყვების წერის რვაასი წელია,
წიგნის, რომელიც მუდამჟამს საკითხავი და მშველია,
ამ სასახლისა აგება ბრძანეთ, თუ რამით ძნელია,
„ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“.

მეგობარო, შეგვეხიდე, ჭიქა ერთი აგვიწიე,
საძირკვლისა სადღეგრძელო ალავერდით შეგვეწიე,
ბალავრის ქვის მოსატანად წადი მტკვრისკენ, გაიწიე,
ფული არა! მხოლოდ სიტყვა! ვაჟკაცური შეგვაწიე.

ქვეყნისათვის საამაყო შემართებით მოგვარდება,
რუსთაველის დიდებისთვის ვალში არვინ ჩავარდება,
უმწეოც კი გვერდში გვიდგას, მისთვის არვინ გაჯავრდება,
საძირკვლისა გაჭრისათვის ქუდზე კაცი მოვარდება.

მიიღეთ ჩემი ნაშრომი შოთაით შთაგონებითა,
გადაიკითხეთ ახლავე ხალისით, ხელოვნებითა
რა იდეასაც გთავაზობთ ერის და ბერის ნებითა,
მანათობელად მომავლის, აღზევებისა გზნებითა.

დალოცვილი წიგნისათვის რომ სასახლე აღიმართოს,
უცილოდ გთხოვთ მიპასუხოთ, მის მოთავემ ვის მიმართოს,
რომ ბრწყინვალე პოეზია იმდაგვარად წარიმართოს,
გმირებისა გაბრწყინებით ხალხი მისკენ გაემართოს.

სიტყვა რომ მისწვდეს მერიას და ქალაქისა მმართველსა,
ხერხს ვიხმობ ბასრსა საშველად, შევესიტყვები ყოველსა,
მეტისმეტი ხოტბა ვასხათ დღეს სანუკვარ რუსთაველსა,
რო ათასად დაუბრუნდეს ნახოტბარი ხვალ ქართველსა.

ღმერთმა ჯავრი მოგვაშოროს, ჯიში ჩვენი არ მოშალოს,
მეგობრობამ ერთგულება კვირტისგვარად გადაშალოს
სალხინომ რო ორგულებში ბოროტება ამოშალოს
და ნატვრაში არასოდეს არაფერი შეგვეშალოს.

„თუ ვერა ვიქმ საწადელსა შენსა შენთვის გაზრახულსა“,
ვარჩევ დავთმო მდუმარება, ვუხმო მიზნებს დასახულსა,
გავუმკლავდე ერთი ათსა, მოყვარ მტრებსა არნახულსა,
დაშაქრული შაირები ვამჯობინო დანახულსა.

„ღმერთო, ღმერთო მოწყალეო, არვინ მივის შენგან კიდე,
შენგან ვითხოვ შეწევასა, რაზომსაცა გზასა ვლიდე“,
მისახსოვრე იდეები, სიცოცხლეში ვერა ვთვლიდე,
თუნდაც ერთმა მათქმევინოს - ტვირთსა ტკბილსა მოვეკიდე.

ღმერთო, ღმერთო სახიერო, ძლიერო და მძლეთა მძლავრო,
შენი მადლის წყალობითა მწადს ფიქრებით არ ვიჯავრო,
დატანჯული გეაჯები, არვინ მინდა გავაჯავრო,
შოთას ძღვნილი ეს სასახლე ფონს გვირგვინით დავამთავრო.

თბილისის თავო, ჩვენ მოვალთ შენი სურვილის ნებასა,
კეთილ საქმისთვის მუდამ გვცალს, თან მივეცემით შვებასა,
ვით ნათლის სვეტი, სასახლეც სულ შეგვახსენებს მცნებასა,
„ვინცა სცნობს კაცი ყველაი, ჩვენსა დაიწყებს ქებასა“.

პატრიარქსაც შევესიტყვე სასახლისა აგებისთვის,
მითხრა, მოვალთ წმინდანთ დასით საძირკვლისა კურთხევისთვის,
მის ნატიფად აგებისთვის წინ წავდგებით ქებად მისთვის,
გულმართალი სიტყვისათვის ტკბილად ვიტყვით ჩვენ ხალხისთვის.

გევედრებით დაგვეხმარეთ მხოლოდ სიტყვით, არა ფულით!
შევიკრიბოთ ქაშუეთში, შემოვძახოთ წრფელი გულით!
ქართველობა გაგვიმრავლდეს ურიცხვ ძითა და ასულით!
ღვთის შვილები აღიზარდონ ეროვნული განცდის სულით.

მჯერა ამინდი გამოვა, პოლიტიკურად იდარებს,
დამიფასებენ შაირებს, არვინ არაფერს მიშარებს,
აღაზევებენ აზრებსა, ზოგი ზეგ გაიზიარებს,
ძლევის დიდებით სამშობლოც მშვიდობიანად იხარებს.

იღვაწე, ჰქმენი მადლია, შენი შვილისთვის კვალია,
შთამომავლისთვის უცილოდ ნატიფად გასაკვალია,
ნატერფალი კი კაცური ყველა კაცისა ვალია,
წუთისოფელი წუთია, წუთიც კი დასაკვალია.

წინაპრებისა ნაღვაწი მართლაც რომ საკვირველია,
ჩვენი ქვეყანაც ამიტომ დღეს ყველას მოსართველია,
დე, გვიმასპინძლოს ურიცხვმა, გვექმნას სულ ოქროს რთველია,
მეკვლედ მიხარის წმინდანი, ჰა, მეკვლეც რუსთაველია.

„გასრულდა ჩემი ანდერძი ჩემგან ნაწერი ხელითა“,
შენობის აშენებისთვის შოთაის ძეგლთან გელითა,
გავამზეუროთ ზრახვები შეკრებითა და ველითა,
მეც სიხარულის იმედით გემშვიდობებით მშველითა.

მაღალი ღმერთის წყალობით, გვირგვინოსანი რუსთველით,
აღმაშენებლის, თამარის, ერეკლეს მაგვარ მმართველით,
ვაზით, მიზნებით, ოცნებით, გამოგონებით, უხვ რთველით
გავალომგულოთ სამშობლო დიდი ქველმოქმედ ქართველით.

ნატვრას ნატრულობს სტუმარიც ტფილისში აღტაცებისთვის,
ლეგენდების, პოეზიის გმირთა ნაღვაწის წვლილისთვის,
საქართველოს მთლიანობის, ხვალინდელი ზეობისთვის,
„თუ რა სხვა სჯობდეს, თქვენ ბრძანეთ“ აწ უკვე გამარჯვებისთვის.

თამაზ ქვლივიძე
ტელ. 599 10 43 18